



რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების
მონიტორინგი
წინასაარჩევნო პერიოდში

პროექტი # S-12-155

საანგარიშო პერიოდი: 2-15 ივლისი, 2012 წელი

პროექტის ხანგრძლივობა: 11 ივნისი-10 დეკემბერი, 2012
პროექტის ბიუჯეტი: 31 000 დოლარი

მონიტორინგის პირველი ეტაპის ძირითადი მიგნებებია:

- რეგიონალური მედია არ გამოირჩევა მოვლენათა გაშუქების ფართო სპექტრით;
- ტელეკომპანიების მხოლოდ მცირე ნაწილი აშუქებს ცენტრალურ ამბებს;
- ტელეკომპანიათა უმეტესობა დიდ დროს უთმობს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გაშუქებას. გაშუქება ყოველთვის პოზიტიურია;
- ჩვენი კვლევისთვის საინტერესო სუბიექტების გაშუქება თითქმის არ ხდება;
- მონიტორინგის პირველი ეტაპის (2-25.07.2012) მწირი მასალა საშუალებას არ იძლევა ვისაუბროთ რეგიონალურ ტელეკომპანიებში წინსასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობასა და ტენდენციებზე;
- "25-ე არხის" (ბათუმი) გარდა უმრავლეს შემთხვევებში რეგიონალური ტელემაუწყებლების გადაცემები დაუბალანსებელია;
- გვხვდება შემთხვევები, როცა ჟურნალისტები ანონიმურ წყაროებს ეყდრნობიან.

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2012 წლის 2-15 ივლისის პერიოდში ჩატარებული კვლევის შედეგებს. მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტის განვითარებას. ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური ტელემაუწყებლების მთავარ საინფორმაციო გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ მედიის მიერ წინსასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

ანალიზი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა საქართველოს 20 რეგიონალურ ტელემაუწყებელზე: "25-ე არხი" (ქ. ბათუმი), "რიონი" (ქ. ქუთაისი), ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი), "ოდიში" (ქ. ზუგდიდი), "თანამგზავრი" (ქ. თელავი), "მე-9 არხი" (ქ. ახალციხე), "თრიალეთი" (ქ. გორი), "გურია" (ქ. ოზურგეთი), "იმერვიზია" (ქ. კიათურა), "არგო" (ქ. ზესტაფონი), "გურჯაანი" (ქ. გურჯაანი), "ბორჯომი" (ქ. ბორჯომი), მარნეული ტვ (ქ. მარნეული), "ლტვ" (ქ. ლაგოდეხი), "მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი), "მეგა ტვ" (ქ. ხონი), "ზარი" (ქ. სამტრედია), "მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი), "ქრონიკა" (ქ. დუშეთი), "ეგრისი" (ქ. სენაკი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველ საანგარიშო პერიოდში (2-15 ივლისი) ვერ მოხერხდა ოცივე ტელემაუწყებლის სრულყოფილი მონიტორინგი. რადგან ტელეკომპანიები "მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი) და "ზარი" (ქ. სამტრედია) არხზე მიმდინარე რეორგანიზაციის გამო 1

ავვისტომდე საინფორმაციო გადაცემებს არ ამზადებენ. ასევე აღარ გადის ადგილობრივი ახალი ამბები ტელეკომპანია "ქრონიკის" (ქ. დუშეთი) და "ეგრისის" (ქ. სენაკი) ეთერით საინფორმაციო გამოშვებების მომზადებას სავარაუდოდ სექტემბრიდან განაახლებენ. 2-15 ივლისის პერიოდში არასრული დატვირთვით მუშაობდა და კვირაში მხოლოდ ერთ საინფორმაციო გადაცემას ამზადებდა რამდენიმე ტელეკომპანია. კერძოდ, "მეგა ტვ" (ქ. ხონი) ახალ შენობაში გადასვლის გამო, სექტემბრამდე საინფორმაციო გამოშვებას მხოლოდ პარასკევობით მომზადებს; ტელეკომპანია "ბორჯომი" იმის გამო, რომ ჟურნალისტების უმეტესი ნაწილი ივლის-ავვისტოში შვებულებაში გაუშვა, მხოლოდ ცალკეული სიუჟეტების მომზადებით შემოიფარგლება. ამავე მიზეზით კვირაში ერთხელ გადის ტელეკომპანია "მე-12 არხის" (ქ. ბოლნისი) საინფორმაციო გადაცემაც.

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე ე. წ. "პრაიმ-ტაიმის" პერიოდში, როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს.

პროექტში გამოყენებული მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიონალური სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცეოდა ინფორმაციის დამახინჯების, დაუბალანსებელი გაშუქების, ტენდენციურობის და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ წინასწარ შერჩეულ სუბიექტებს შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ.

დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია წამებში. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამა თუ იმ არხზე მას დრო საერთოდ არ დაეთმო.

პირდაპირი და არაპირდაპირი გაშუქება გვიჩვენებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე პირდაპირი და არაპირდაპირი გაშუქება მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამა თუ იმ არხზე დათმობილი დრო.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო.

საინფორმაციო გამოშვებებზე დაკვირვებისას ასევე ყურადღება ექცეოდა იმას, რომელ მოვლენებს აშუქებდნენ ტელეკომპანიები რეგიონალურს თუ ცენტრალურს.


თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა ბალანსი, ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება; სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), გამოყენებული ლექსიკა და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.

მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტი (სპიკერი, ვიცე-სპიკერები, პარლამენტის წევრები, კომიტეტები, აპარატი); პრეზიდენტი (პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მრჩეველები, პრეს-სპიკერი); მთავრობა (პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, გუბერნატორები); ხელისუფლება (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ); ადგილობრივი თვითმმართველობა (მერები, საკრებულოების და გამგეობების თავმჯდომარეები); ცენტრალური საარჩევნო კომისია; არჩევნების დამკვირვებლები; სახელმწიფო აუდიტის სამსახური (არჩევნების კონტექსტში); ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია („სია“); ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო; კოალიცია ქართული ოცნება; თავისუფალი დემოკრატები; ეროვნული ფორუმი; საქართველოს რესპუბლიკური პარტია; საქართველოს კონსერვატიული პარტია; ხალხის პარტია; საქართველოს გზა; თავისუფალი


საქართველო; ახალი მემარჯვენეები; დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის; ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; ლეიბორისტული პარტია; მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს; საქართველოს დემოკრატიული პარტია; ქართული დასი; ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; ევროპელი დემოკრატები; ამომრჩეველთა ლიგა; სახალხო კრება; ოპოზიცია (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ).

საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:

"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - არხზე ყველაზე მეტი დრო ადგილობრივ თვითმმართველობას (22 წთ.), აჭარის მთავრობას (18 წთ.) და ზოგადად ხელისუფლებას (15 წთ.) დაეთმო. კოალიცია ქართულ ოცნებას 11 წუთი დაეთმო, ქრისტიან-დემოკრატებსა და კონსერვატიულ პარტიას 6-6 წუთი. ერთიან ნაციონალურ მოძრაობას 3 წუთამდე დაეთმო. ხოლო დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებზე დრო თითქმის ერთნაირად გადანაწილდა.




გაშუქების ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი ხელისუფლებას ხვდა წილად (64%), ყველაზე მეტი ნეიტრალური ტონი (61%) კოალიცია ქართულ ოცნებას. თუმცა იმის გამო, რომ სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ხშირ შემთხვევაში 1 წუთსაც არ შეადგენდა გაშუქების 100 პროცენტის პოზიტიური მაჩვენებელი საშუალებას არ გვამღევს გარკვეულ ტენდენციებზე ვილაპარაკოთ.



სუბიექტების პირდაპირი და არაპირდაპირი გაშუქების პროცენტული გადანაწილება გვიჩვენებს, რომ უმეტეს შემთხვევებში სუბიექტებზე სხვები საუბრობენ. თუმცა აქაც

გასათვალისწინებელია, რომ მათთვის დათმობილი საერთო დრო ძალიან მცირეა.




აღსანიშნავია, რომ "25-ე არხის" საინფორმაციო გამოშვებებში რეგიონის მოვლენებს უფრო მეტი დრო ეთმობა, ვიდრე ცენტრალურს.


საინფორმაციო გადაცემების თვისებრივმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სიუჟეტები დაბალანსებულია. მაგრამ იყო დაუბალანსებელი სიუჟეტების რამდენიმე შემთხვევა. მაგალითად, 13 ივლისის ერთ-ერთ სიუჟეტში რამდენჯერმე ახსენეს, რომ ოპოზიცია არ დაესწრო აჭარის უმაღლესი საბჭოს შეხვედრას, რომელზეც ბიუჯეტის გაზრდის საკითხი განიხილეს. მიუხედავად ამისა, სიუჟეტში მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიციებია ნაჩვენები და ოპოზიციის შეხედულება არ ჩანს.

აღსანიშნავია, რომ „25-ე არხის“ ჟურნალისტები მონიტორინგის სუბიექტებზე ყოველთვის ნეიტრალური ტონით საუბრობენ და არ ჩანს მათი პირადი დამოკიდებულება ამა თუ იმ სუბიექტის მიმართ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჟურნალისტი სხვა რესპონდენტის პერიფრაზს აკეთებს). მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალისტები მოვლენებს მიუკერძოებლად აშუქებენ.


"რიონი" (ქ. ქუთაისი) - ამ არხზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო მთავრობას (41 წთ.) , ადგილობრივ თვითმმართველობას (11 წთ.) და პრეზიდენტს (10 წთ.). 8 წუთი დაეთმო ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას, 5-5 წუთი ხელისუფლებამ და ახალმა მემარჯვენეებმა გადაინაწილეს, ხოლო კოალიცია ქართულ ოცნებას 3 წუთი დაეთმო.



სამივე ტონი გამოიკვეთა მთავრობის (67% პოზიტიური, 15% ნეიტრალური, 18% ნეგატიური), ადგილობრივი თვითმმართველობის (82% პოზიტიური, 7% ნეიტრალური და 11% ნეგატიური) და კოალიცია ქართული ოცნების (27% პოზიტიური, 62% ნეიტრალური, 12% ნეგატიური) გაშუქებისას. პრეზიდენტის გაშუქების ტონი 81%-ში პოზიტიურია და 14% ნეიტრალური. დანარჩენი სუბიექტების მიმართ, მათთვის დათმობილი მცირე დროის გამო, აქაც ძნელია გამოკვეთილად გაშუქების ტონზე საუბარი.




სუბიექტების პირდაპირ/არაპირდაპირ გაშუქებაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ არაპირდაპირი გაშუქების პროცენტული მაჩვენებელი მეტია პირდაპირ გაშუქებაზე. მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქების შემთხვევაში ეს მაჩვენებლები ერთმანეთს ძალიან დაშორებული არაა ერთმანეთისგან - 44% პირდაპირი გაშუქება, 56% არაპირდაპირი.




ტელეკომპანია "რიონი" უფრო მეტ დროს უთმობს ცენტრალური მოვლენების გაშუქებას, თუმცა რეგიონალური ამბებსაც ინტენსიურად აშუქებს. თვისებრივი მონიტორინგის შედეგებმა გვიჩვენა, რომ საინფორმაციო გამოშვებები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თუმცა დაფიქსირდა მცირე ხარვეზებიც. მაგალითად, ზოგ შემთხვევებში ტიტრებში მითითებული არა არის რომელ პოლიტიკურ სუბიექტს წარმოადგენს რესპოდენტი; ინტერვიუ ისეა დამონტაჟებული, რომ ჭირს აზრის გამოტანა (ინტერვიუ ახალი მემარჯვენეების წარმომადგენელ მამუკა კაციტაძესთან, 6.07.2012); ხანდახან ჟურნალისტები არაარგუმენტირებულ ვარაუდებსაც გამოთქვამენ და აფიქსირებენ თავიანთ პოზიტიურ დამოკიდებულებას უმეტესდა ადგილობრივი ხელისუფლებისა თუ ზოგადად მთავრობის მიმართ (სოფელ ხრეთის პრობლემებს მთავრობა მალე მოაგვარებს - 5.07.2012); აშკარად იგრძნობოდა ჟურნალისტის მცდელობა დადებითი კუთხით წარმოეჩინა პრეზიდენტი 13 ივლისის სიუჟეტში, როცა მას მთელი სიუჟეტის განმავლობაში გვიჩვენებდნენ ეკლესიაში სანთლით ხელში.


ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) - საინფორმაციო გამოშვებებში სულ რამდენიმე სუბიექტი გაშუქდა. აქედან ყველაზე მეტი დრო დაეთმო ადგილობრივ თვითმმართველობას 9 წუთი, მთავრობას - 5 წუთი და 3-3 წუთი ხელისუფლებასა და კოალიცია ქართულ ოცნებას.



სუბიექტების მიმართ დამოზილდრო მცირე დროის პირობებში სუბიექტების ტონის პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირად გადანაწილდა.




პირდაპირი /არაპირდაპირი გაშუქების პროცენტული მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა:



ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია უმეტეს დროს რეგიონალური ამბების გაშუქებას უთმობს. ნაკლები დრო ეთმობა პოლიტიკური ამბების გაუქებას. მაგალითად, აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პერიოდი ახალი სამთავრობო გეგმის პრეზენტაციას დაემთხვა, თუმცა, საინფორმაციო გამოშვებაში ამ საკითხზე რეპორტაჟი არ მომზადებულა.

ამასთან, სიუჟეტში ესა თუ ის საკითხი მხოლოდ ერთი კუთხით არის განხილული და უმეტესად, სიუჟეტები დაუბალანსებელია. ძირითადად, საინფორმაციო გამოშვებები სახელმწიფო სტრუქტურების განხორციელებულ პროექტებს ეძღვნება, სადაც ჟურნალისტი და რესპონდენტები პროექტების მხოლოდ დადებით მხარეებზე საუბრობენ. ამის დასტურია რაოდენობრივი მონაცემებიც: სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ჩამონათვალში პირველი სამი ადგილი ადგილობრივ თვითმმართველობას, მთავრობასა და ხელისუფლებას უკავია, რაც ჯამში 17 წუთს შეადგენს. ამასთან, აღნიშნული სუბიექტები, ფაქტიურად, უარყოფით ტონში საერთოდ არ უხსენებიათ.


"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - 2-15 ივლისის მანძილზე ჩვენთვის საინტერესო სუბიექტები ტელეკომპანიის საინფორმაციო გადაცემებში ფაქტიურად არ გაშუქებულან. კერძოდ, 54 წამი დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას და 42 წამი ადგილობრივ თვითმმართველობას.




სუბიექტებისთვის დათმობილი მცირე დროის გამო აზრს კარგავს მონაცემების გაანალიზება ტონისა და პირდაპირო/არაპირდაპირი გაშუქების მიხედვით.

ტელეკომპანია ძირითადად ადგილობრივ ამბებს აშუქებს. უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან იშვიათად შუქდება პოლიტიკური პროცესები არამარტო ქვეყნის, არამედ ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაც. ბევრი სიუჟეტი ეძღვნება ადგილობრივ კულტურულ ღონისძიებებს, რომლებშიც უხვადაა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა ინტერვიუები.


"თანამგზავრი (ქ. თელავი) - ყველაზე მეტი დრო დაეთმო მთავრობას (31 წთ.), ხელისუფლებას (14 წთ.) და კოალიცია ქართულ ოცნებას (10 წთ.) . დანარჩენი სუბიექტების დროის მაჩვენებელი მცირეა.



სამივე ტონი გამოიკვეთა მთავრობის (58% პოზიტიური, 13% ნეიტრალური, 29% ნეგატიური), ხელისუფლების (55% პოზიტიური, 11% ნეიტრალური , 34 % ნეგატიური) და კოალიცია ქართული ოცნების (40 % პოზიტიური, 33 % ნეიტრალური, 27 % ნეგატიური) გაშუქებისას. ამ ტელეკომპანიაშიც დანარჩენი სუბიექტებისთვის დათმობილი მცირე დროის გამო ტონის პროცენტული მაჩვენებელი არასრულყოფილ სურათს გვამღვს.




ყველაზე მეტად გაშუქებული სამივე სუბიექტის შემთხვევაში, არაპირდაპირი გაშუქება სჭარბობს პირდაპირს.




ტელეკომპანია "თანამგზავრი" კახეთის რეგიონთან ერთად, თბილისში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსაც აშუქებს. თუმცა, ხშირია უზუსტობები, მაგალითად: 2 ივლისის საინფორმაციო გამოშვებაში ჟურნალისტი საპარლამენტო უმრავლესობას ახსენებს, რეალურად კი საპარლამენტო უმცირესობა იგულისხმება. მსგავსი უზუსტობები წარმოდგენილ ინფორმაციას ბუნდოვანსა და დამაბნეველს ხდის. ამასთან, პრობლემაა სიუჟეტების დაბალანსებაც: მათი ნაწილი მხოლოდ ერთი მხარის პოზიციას წარმოადგენს და უცნობი რჩება საკითხთან დაკავშირებული არსებული განსხვავებული შეხედულებები და ინტერპრეტაციები.


"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - ტელეკომპანიამ ჩვენთვის საინტერესო სუბიექტების გაშუქებას ცოტა დრო დაუთმო. კერძოდ, მთავრობა - 13 წუთი, ადგილობრივი თვითმმართველობა - 9 წუთი და ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო 2 წუთი. დანარჩენ რამდენიმე სუბიექტს საინფორმაციო გამოშვებებში 1 წუთი და წუთზე ნაკლები დრო დაეთმო.



სუბიექტების გაშუქების ტონის პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირად გადანაწილდა:




ხოლო პირდაპირი და არაპირდაპირი გაშუქების მაჩვენებელი ასე გამოიყურება:




ტელეკომპანია თითქმის თანაბარ დროს უთმობს ცენტრალური და რეგიონალური ამბების გაშუქებას. თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ტელეკომპანია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს დადებით ტონში აშუქებს მაშინაც კი, როცა აღნიშნული პირები, სიუჟეტის შინაარსიდან გამომდინარე არ წარმოადგენენ საკითხთან დაკავშირებულ პირებს. ხშირ შემთხვევაში მონიტორინგის სუბიექტების მიმართ ჟურნალისტების ტონი არაერთგვაროვანი და მიკერძოებულია, წამყვანის ტექსტები კი ბუნდოვანი. სჭარბობს ჟურნალისტის მხრიდან ამა თუ იმ სუბიექტის მიმართ პოზიტიური განწყობა.

"თრიალეთი" (ქ. გორი) - სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო კოალიცია ქართულ ოცნებას დაეთმო (33 წთ.), ხელისუფლებას - 21 წუთი, ადგილობრივ თვითმმართველობას 17 წუთი.




ყველაზე მეტი ნეგატიური გაშუქება წილად ხვდა ხელისუფლებას (90%), ადგილობრივ თვითმმართველობას (75%) და მთავრობას (54%). კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში გამოიკვეთა პოზიტიური (64%) და ნეიტრალური (36%) ტონები.

ამ ტელეკომპანიის შემთხვევაშიც ისევე როგორც ადრე განხილულების, ძნელია გამოკვეთილ ტენდენციებზე საუბარი, რადგან სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ამის საშუალებას არ იძლევა.



უმრავლეს შემთხვევაში აქაც არაპირდაპირი გაშუქება სჭარბობს პირდაპირს.




ტელეკომპანია "თრიალეთი" უფრო მეტ დროს ადგილობრივი ამბების გაშუქებას უთმობს. თვისებრივი მონიტორინგის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ „თრიალეთი“ პოლიტიკურ ამბებს აქტიურად აშუქებს, თუმცა სიუჟეტების უმრავლესობა დაუბალანსებელია, სადაც მხოლოდ ოპოზიციის მოსაზრებებია წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, ჟურნალისტი დაუბალანსებელი სიუჟეტების მიზეზს ხშირ შემთხვევაში განმარტავს და ამბობს, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში თრიალეთის ჟურნალისტს კომენტარს არ აძლევენ.

აღსანიშნავია, რომ რეპორტიორის რესპონდენტებისთვის დასუმლ შეკითხვებში ხელისუფლების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება ჩანს. მაგალითად: *როდესაც მოქალაქე ამბობს, რომ პრობლემის მოსაგვარებლად ადგილობრივ თვითმმართველობას მიმართეს, ჟურნალისტი ეკითხება: და თქვენი პრობლემით არავინ დაინტერესებულა, ხო?* მეორე მხრივ, ჟურნალისტები დადებითად აფასებენ ოპოზიციის, უმეტესად კოალიცია „ქართული ოცნების“, გადაწყვეტილებებსა და განცხადებებს. „თრიალეთი“ „ქართული ოცნებასთან“ დაკავშირებული საკითხების აქტიური გაშუქებითაც გამოირჩევა, მაგალითად: 12 ივლისის საინფორმაციო გამოშვებაში შვიდი სიუჟეტიდან ხუთი „ქართული ოცნების“ რეგიონებში ვიზიტებსა და მის შეფასებას დაეთმო.

გარდა ამისა, სიუჟეტების ნაწილში ინფორმაცია ანონიმურ წყაროს ეყრდნობა ან ფარული ვიდეო/აუდიო ჩანაწერის სახით არის წარმოდგენილი. ამასთან, ხშირია შემთხვევა, როდესაც „თრიალეთი“ მოქალაქეების უკმაყოფილების შესახებ სიუჟეტს ამზადებს, თუმცა, ძნელია გარკვეოთ თუ ვის მიმართ, რომელი სტრუქტურისა თუ ორგანიზაციის შესახებ არის გამოთქმული პრეტენზიები; მსგავსი სიუჟეტები ხელისუფლების მიმართ ნეგატიურ განწყობას ქმნის, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება არ ყოფილა ნახსენები.


"გურია" (ქ. ოზურგეთი) - ტელეკომპანიის საინფორმაციო გადაცემებში დრო მხოლოდ რამდენიმე სუბიექტს დაეთმო. აქედან ყველაზე მეტი დრო (18 წთ.) ადგილობრივ თვითმმართველობაზე მოდის. 2-2 წუთი დაეთმო ახალი მემარჯვენეების და ზოგადი თემების გაშუქებას.



სუბიექტებისთვის დათმობილი მცირე დროის გამო აზრს კარგავს მონაცემების გაანალიზება ტონისა და პირდაპირო/არაპირდაპირი გაშუქების მიხედვით.

თვისებრივმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ტელეკომპანია „გურია“, ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ გაშუქების დადებითი ტონით გამოირჩევა. მაყურებლისთვის დამატებითი პოზიტიური შთაბეჭდილების შესაქმნელად ვიზუალურ, ვიდეო და მუსიკალურ ეფექტებს აქტიურად იყენებს. მაგალითად, საინფორმაციო გამოშვებაში რაიონს გამგებლის ინტერვიუს ქრონომეტრაჟი ხშირ შემთხვევაში 60 წმ-ს (სტანდარტი 30 წმ-ია) აღემატება. საინფორმაციო გამოშვებებში უმთავრესად რეგიონისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა შუქდება. ტელეკომპანია მხოლოდ ადგილობრივ მოვლენებს აშუქებს.


"იმერვიზია" (ჭიათურა) - აქაც მხოლოდ რამდენიმე სუბიექტის გაშუქება დაფიქსირდა. მათგან ყველაზე მეტი დრო დაეთმოთ პრეზიდენტს 3 წუთი და კოალიცია ქართული ოცნებას 2 წუთი.



სუბიექტებისთვის დათმობილი მცირე დროის გამო აზრს კარგავს მონაცემების გაანალიზება ტონისა და პირდაპირო/არაპირდაპირი გაშუქების მიხედვით.

"იმერვიზია" უმეტესად ადგილობრივ ამბებს აშუქებს. თვისებრივი მონიტორინგის დროს ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებაზე დაკვირვებისას მკვეთრად პროსახელისუფლებო ტენდენციები გამოიკვეთა. სიუჟეტებში ჟურნალისტები საკუთარ პოზიციებს თამამად და დამატებითი არგუმენტების გარეშე გამოხატავენ. მაგალითად, 3 ივლისის საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტში, რომელიც კოალიცია ქართული ოცნების მცხეთაში მიმდინარე აქციას ეხებოდა, ჟურნალისტმა იგი ნეგატიური ტონში გააშუქა, დასკვნაში კი მთავრობის მიმართ საკუთარი დადებითი პოზიცია დააფიქსირა.


"არგო" (ქ. ზესტაფონი) - კვლევის შედეგები არც ამ ტელეკომპანიის შემთხვევაში გვაძლევს ისეთ მაჩვენებლებს, რომ შესაძლებელი იყოს ტენდენციებზე საუბარი. გაშუქების ყველაზე მეტი დრო დაეთმო ადგილობრივ თვითმმართველობას (3 წთ.), 2-2 წუთი ზოგად თემებს და მთავრობას.




სუბიექტებისთვის დათმობილი მცირე დროის გამო აზრს კარგავს მონაცემების გაანალიზება ტონისა და პირდაპირო/არაპირდაპირი გაშუქების მიხედვით.

ტელეკომპანია "არგო" მხოლოდ რეგიონის ახალი ამბებს აშუქებს და თითქმის არ მოიცავს კვლევისთვის საინტერესო სუბიექტებს. საინფორმაციო გამოშვება შემოიფარგლება რეგიონში მიმდინარე კულტურულ- გასართობი ღონისიებების გაშუქებით.


"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი) - სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო დაეთმო მთავრობას (23 წთ.), ადგილობრივ თვითმმართველობას (18 წთ.) და ზოგადი საკითხების გაშუქებას (9 წთ.). 4-4 წუთი გადანაწილდა ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობასა და პარლამენტზე, 2-2 წუთი პრეზიდენტზე, კოალიცია ქართულ ოცნებაზე, ქართულ დასზე, ლეიბორისტულ პარტიასა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურზე.



სამივე ტონში გაშუქდა მთავრობა (55% პოზიტიური, 16% ნეიტრალური, 29% ნეგატიური), ადგილობრივი თვითმმართველობა (57% პოზიტიური, 15% ნეიტრალური, 28% ნეგატიური) და კოალიცია ქართული ოცნება (43% პოზიტიური, 45% ნეიტრალური, 12% ნეგატიური).




დათმობილი დროის გათვალისწინებით სიუჟეტებში სჭარბობს სუბიექტების პირდაპირი გაშუქება. მაგალითად, მთავრობა 75%-ის შემთხვევაში პირდაპირ შუქდებოდა, ადგილობრივი თვითმმართველობა 71%-ში. ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობისთვის დათმობილი 4 წუთი მთლიანად პირდაპირ გაშუქებაზე მოდიოდა.



ტელეკომპანია "გურჯაანი" თანაბარ დროს უთმობს ცენტრალური და რეგიონალური ამბების გაშუქებას. თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ "გურჯაანის" საინფორმაციო გადაცემები დაბალანსებულია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სიუჟეტებში მკვეთრად პოზიტიური აქცენტი კეთდება ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაზე. მათ გაშუქებას სხვა სუბიექტებთან შედარებით ყველაზე დიდი საეთერო დრო (დაახლოებით 40 წთ.) დაეთმო.


"ზორჯომი (ქ. ზორჯომი) - თითქმის არ გაშუქებულან ჩვენთვის საინტერესო სუბიექტები, მხოლოდ ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო 6 წუთი. გაშუქების ტონი იყო 78% -ის პოზიტიური, 19% ნეიტრალური და 3% ნეგატიური. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები უმეტესად თავად საუბრობდნენ -65%.



სუბიექტებისთვის დათმობილი მცირე დროის გამო აზრს კარგავს მონაცემების გაანალიზება ტონისა და პირდაპირო/არაპირდაპირი გაშუქების მიხედვით.


ტელეკომპანია "ბორჯომი" მხოლოდ ადგილობრივი ახალი ამბების გაშუქებით შემოიფარგლება. სამწუხაროდ, არსებული მწირი მასალა თვისებრივი ანალიზის საშუალებას არ იძლევა.

მარნეული ტვ (ქ. მარნეული) - სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო დაუთმო მთავრობას (12 წთ.), ზოგად საკითხებს (5 წთ.), პარლამენტს (3 წთ.), ასევე საპარლამენტო უმრავლესობას (2წთ.), ადგილობრივ თვითმმართველობას (3 წთ.)




იმ სუბიექტების მიმართ, რომლებსაც ყველაზე მეტი დრო დაეთმოთ, სამივე ტონი გამოვლინდა: მთავრობა - 60% პოზიტიური, 24% ნეიტრალური, 16 % ნეგატიური; პარლამენტი - 49% პოზიტიური, 39% ნეიტრალური, 12% ნეგატიური; ადგილობრივი თვითმმართველობა - 67% პოზიტიური, 7% ნეიტრალური, 26% ნეგატიური.

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი




პირდაპირი/არაპირდაპირი გაშუქების პროცენტული მაჩვენებელი მეტ-ნაკლებად თანაბრად ნაწილდება ადგილობრივი თვითმმართველობის, პარლამენტისა და მთავრობის შემთხვევებში.



ტელეკომპანია დაგვიანებით აშუქებს ცენტრალურ ახალ ამბებს. მაგალითად, პრემიერ - მინისტრის მიერ პარლამენტში წარდგეილი სამთავრობო გეგმა საინფორმაციო გამოშვებამ 1 დღის დაგვიანებით გააშუქა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ცენტრალური ახალი ამბების სელექციის დროს უგულვებელყოფილია ზოგიერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა.


"ლტვ" (ქ. ლაგოდეხი) - ყველაზე მეტი დრო, 16 წუთი, დაეთმო ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებას, 3 წუთი მთავრობას, ხოლო 2 წუთი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.



სუბიექტებისთვის დათმობილი მცირე დროის გამო აზრს კარგავს მონაცემების გაანალიზება ტონისა და პირდაპირო/არაპირდაპირი გაშუქების მიხედვით.


ტელეკომპანია მხოლოდ ადგილობრივ ახალ ამბებს აშუქებს. გარკვეულ ტენდენციებზე საუბარი და თვისებრივი ანალიზი აქაც რთულია მასალის სიმცირის გამო.

"მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი) - საინფორმაციო გამოშვებებში 8 წუთი დაეთმო ადგილობრივ თვითმმართველობას, სხვა სუბიექტები ფაქტიურად არ გაშუქებულა.



ბოლნისის "მე-12 არხი" უმეტესად ადგილობრივ ახალ ამბებს აშუქებს. სუბიექტებისთვის დათმობილი მცირე დროის გამო აზრს კარგავს მონაცემების გაანალიზება ტონისა და პირდაპირო/არაპირდაპირი გაშუქების მიხედვით.

"მეგა ტვ" (ქ. ხონი) - აქ დრო დაეთმოთ მხოლოდ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (2 წთ.) და ადგილობრივ თვითმმართველობას (2 წთ.). გაშუქების ტონი იყო ნეიტრალური და პოზიტიური, ასევე დაფიქსირდა როგორც პირდაპირი ისე არაპირდაპირი გაშუქება.



სუბიექტებისთვის დათმობილი მცირე დროის გამო აზრს კარგავს მონაცემების გაანალიზება ტონისა და პირდაპირო/არაპირდაპირი გაშუქების მიხედვით.

„მეგატივის“ საინფორმაციო გამოშვება ფაქტიურად, არ ეხება პოლიტიკურ საკითხებს. ჯერჯერობით არც ერთი პოლიტიკური პარტია არ უხსენებიათ. მონიტორინგის სუბიექტებიდან მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობა, ხელისუფლება და ცენტრალური საარჩევნო კომისია ახსენეს, რომლებიც ძირითადად კულტურულ და იშვიათად სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით გამოჩნდნენ.

აქვე აღსანიშნავია, რომ 13 ივლისის „მეგატივის“ პირველი სიუჟეტის ნაწილი, რომელიც „ენ-დი-აის“ კვლევის შედეგებს ეხებოდა, 12 ივლისის "თრიალეთის" სიუჟეტის იდენტურია: იმავე კადრებითა და ტექსტით.

მომავალში განსახორციელებელი სამუშაო:

16-29 ივლისის მანძილზე განხორციელდება რეგიონალური მაუწყებლების მონიტორინგის

მეორე ეტაპი.



ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი არ ასახავს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.